მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-1

დ. მესტია **27.01. 2023წ**

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, ვ. ჭკადუა, ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, მ.გელოვანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი,

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ბ. ნაკანი, გ. გელოვანი, გ. ხვისტანი, დ. ჯაფარიძე, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ი. რატიანი, მ. პაკელიანი, მ. კვანჭიანი, შ. ცინდელიანი, ლ.პაკელიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი ა. უმფრიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი მ. გვარლიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 21 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

/მომხსენებელი: ა. უმფრიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

/მომხსენებელი: ა. უმფრიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: მ. ჯაფარიძე/

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2021 წლის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

/მომხსენებელი: მ. ჯაფარიძე./

5. ,,ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" ადმინისტრირების ქვეშ არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2023 წლის თანადაფინანსების პროგრამა (პ/კ 06.05) დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: მ. გვარლიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ"

/მომხსენებელი: რ.გვარმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".** წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------21

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №g-135. 135230272 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უმფრიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების **განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულია სამართლებრივი შენიშვნები მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N-20, 21 დადგენილებებზე. შენიშვნების გათვალისწინებით გამოსწორებულია ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-1 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უმფრიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №- 2 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა დეპუტატებს სთხოვა უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ სამუშაო პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება№-:გ-135. 135230273 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2021 წლის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი წევრის ვიკა ფილფანის განცხადების საფუძველზე შევა ცვლილება კომისიების შემადგენლობაში. კერძოდ: სოციალურ საკითხთა კომისიაში და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება№-გ-135. 135230273 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ციხდელიანმა ,,ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" ადმინისტრირების ქვეშ არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2023 წლის თანადაფინანსების პროგრამა (პ/კ 06.05) დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა ისაუბრა ცენტრის პროგრამებზე, მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან დაემატა 23 000 (ოცდასამი ათასი) ლარი, შინმოვლის სერვისის განხორციელ;ების მიზნით. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 103 000 (ას სამი ათასი) ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" ადმინისტრირების ქვეშ არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2023 წლის თანადაფინანსების პროგრამა (პ/კ 06.05) დამტკიცების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება№-გ-135.135230274 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უმფრიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ".

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომების, კომისიების სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის

მიღებისთვის, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება განისაზღვრა 750 (შვიდას ორმოცდაათი)ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ"

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-3 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე